ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2814136

ნომერი: AR1432563

თარიღი : 19.08.2016

გაცემის თარიღი : 19.09.2016

გაცნობის თარიღი : 19.09.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 1 / ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ავთანდილ ნაცვალაძე პ/ნ 01030052696
- თბილისი, გუნიას ქ # 2, სართული 1, ბინა #2

ორგანიზაცია:
- შპს "ალიანს-ჯი" კოდი: 204560714

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ალიანს-ჯი, დირექტორი ნინო კოკაია
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204560714
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს ალიანს-ჯი, დირექტორი ნინო კოკაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 204560714

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1973622
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.06.2015

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მაია ბუხაიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, პურის მოედანი ქ. N 1/ პურის მოედანი N2–ში, შ.პ.ს. ,,ალიანს–ჯი''–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობების (უძრავი ძეგლები) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.

გაცნობებთ, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24–ე მუხლის თანახმად აკრძალულია ძეგლზე რაიმე სამუშაოების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ კანონით, დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებიც და უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც საჭიროებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვას. აღნიშნული კანონი კი არ ითვალისწინებს, ძეგლზე შესაბამისი ნებართვის მიღებამდე სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და ძეგლზე შეთანხმებული პროექტის დარღვევით, უკვე ნაწარმოებ სამუშაოებზე რესტავრაცია ადაპტაციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

შესაბამისად, სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას, ვინაიდან თქვენს მიერ სამუშაოების ჩატარება მოხდა 2015 წლის 24 ივნისის №1973622 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.